



ადმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

EWUNI

ადმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი

დამტკიცებულია პრეზიდენტის № 01-12 ბრძანებით

თარიღი: 11 თებერვალი 2025

სარჩევი

შესავალი	3
თავი I: ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო	4
მუხლი 1. ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ძირითადი პრინციპები	4
მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს სტრუქტურა	4
მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები	6
თავი II: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობები	6
თავი III: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები	9
მუხლი 1. შეფასება და გადახედვა	10
მუხლი 2. აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა	12
მუხლი 3. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	13
მუხლი 4. უწყვეტი გაუმჯობესების ციკლი (PDCA)	14
მუხლი 5. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა	15
მუხლი 6. ანგარიშგება და კომუნიკაცია	16
თავი IV: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა	17
მუხლი 1. შიდა დაინტერესებული მხარეები	17
მუხლი 2. გარე დაინტერესებული მხარეები	18
მუხლი 3. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები	20
მუხლი 4. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სარგებელი	20
თავი V: მონიტორინგი და ანგარიშგება	21
მუხლი 1. ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის მონიტორინგი	21
მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის ანგარიშგება	22
მუხლი 3. შედეგების გაცნობა და რეკომენდაციები	22
მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შეფასება	23
მუხლი 5. ანგარიშგება გარე დაინტერესებული მხარეებისთვის	23
თავი VI: ტრენინგი და პროფესიული განვითარება	24
მუხლი 1. აკადემიური პერსონალის ტრენინგი	24
მუხლი 2. ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგი	25
მუხლი 3. ხელმძღვანელობის და მმართველობის ტრენინგი	25
მუხლი 4. სტუდენტების ტრენინგი	26
მუხლი 5. პროფესიული განვითარების შესაძლებლობები	26

მუხლი 6. ტრენინგ პროგრამების შეფასება	27
თავი VII: გარე შეფასებები	27
მუხლი 1. გარე შეფასებები	28
მუხლი 2. აკრედიტაცია და ავტორიზაცია	28
მუხლი 3. გარე შეფასებების კოორდინაცია	29
მუხლი 4. დაინტერესებული მხარეების როლი გარე შეფასებებში	30
მუხლი 5. უწყვეტი გაუმჯობესება გარე შეფასებების მეშვეობით	30
თავი VIII: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის გადახედვა და განახლება	31
მუხლი 1. გადახედვის სიხშირე	31
მუხლი 2. პოლიტიკის გადახედვაზე პასუხისმგებლობა	32
მუხლი 3. გადახედვის პროცესი	32
მუხლი 4. განახლებების გაცნობა	32
მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის უწყვეტი გაუმჯობესება	33
თავი IX: შეჯამება	33
თავი X: დასკვნითი დებულებები	34
მუხლი 1. უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების და მასში ცვლილებების განხორციელების წესი	34

თავი I: შესავალი

ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა შემუშავებულია აკადემიური სტანდარტების, ინსტიტუციური ეფექტურობის და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული განათლების საერთო ხარისხის დაცვის და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პოლიტიკა წარმოადგენს ყველა პროგრამის, სერვისის და პროცესის უმაღლეს სტანდარტებთან, ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ და საერთაშორისო რეგულაციებთან შესაბამისობის ჩარჩოს.

ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტში, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას ხელი შევუწყოთ მუდმივი განვითარების კულტურას, სადაც ხარისხი გათვალისწინებულია საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა ასპექტში, დაწყებული სწავლება - სწავლით, ადმინისტრაციული მხარდაჭერით და კვლევითი საქმიანობით დასრულებული. აღნიშნული პოლიტიკა განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომას, რომელიც წარმართავს ჩვენს ძალისხმევას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენმა პროგრამებმა და სერვისებმა დააკმაყოფილოს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის და გარე დაინტერესებული მხარეების, მათ შორის აკრედიტაციის/ავტორიზაციის ორგანოების, ინდუსტრიის პარტნიორების და ფართო საზოგადოების საჭიროებები.

ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ უნივერსიტეტის ვალდებულება ეფუძნება ძირითად ეროვნულ ჩარჩოებთან შესაბამისობას, მათ შორის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტებს და ისეთ საერთაშორისო სტანდარტებს, როგორიც არის მსოფლიო სამედიცინო განათლების ფედერაციის სტანდარტები, ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები. აღნიშნული სახელმძღვანელოები, ჩვენს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებთან ერთად, აყალიბებს ისეთი პოლიტიკის და პრაქტიკის განვითარების საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ სიმკაცრეს, ინსტიტუციურ კეთილსინდისიერებას და გლობალურ საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობას.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- ჩამოაყალიბოს აკადემიური პროგრამების, სასწავლო პროცესის, კვლევის და საუნივერსიტეტო სერვისების მუდმივი შეფასების და გაუმჯობესების მკაფიო პროცედურები და მექანიზმები.
- უზრუნველყოს აკრედიტაციის და ავტორიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ამავდროულად ხელი შეუწყოს გაუმჯობესების უწყვეტ ციკლს, რომელიც ეფუძნება რეგულარულ უკუკავშირს და ანალიზს.
- ხელი შეუწყოს დეპარტამენტებს და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას, უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ასპექტში ხარისხის უზრუნველყოფის გათვალისწინების მიზნით, რაც უზრუნველყოფს სრულყოფილებისადმი დაწესებულების ერთგულებას, რომელიც გაზიარებული იქნება უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ.

საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ხარისხის უზრუნველყოფის გათვალისწინებით, ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტი მიზნად ისახავს მუდმივად დააკმაყოფილოს და გადააჭარბოს ჩვენი სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის და საზოგადოების მოლოდინებს. აღნიშნული პოლიტიკა იქნება ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც რეგულარულად გადაიხედება და

განახლდება განათლების განვითარებადი სტანდარტების, ახალი საუკეთესო პრაქტიკის და ჩვენი საუნივერსიტეტო საზოგადოების უკუკავშირის ასახვის მიზნით.

თავი II: ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო

ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო წარმოადგენს ყოვლისმომცველ სისტემას, რომელიც შექმნილია უნივერსიტეტის ყველა პროგრამაში და სერვისში აკადემიური ხარისხის, ინსტიტუციური ეფექტურობის და უწყვეტი გაუმჯობესების უმაღლესი სტანდარტების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ჩარჩო განსაზღვრავს პრინციპებს, პროცესებს და სტრუქტურებს, რომლებიც წარმართავს ჩვენს მიდგომას ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ და უზრუნველყოფს ყველა საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისობას ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან, საუკეთესო პრაქტიკასთან და უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან.

მუხლი 1. ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ძირითადი პრინციპები

ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო ეფუძნება რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომლებშიც ასახულია ხარისხის, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მიმართ უნივერსიტეტის ვალდებულება. აღნიშნული პრინციპებია:

- მუდმივი გაუმჯობესება: პროგრამების და სერვისების რეგულარული შეფასების, დახვეწის და გაუმჯობესების ვალდებულება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და ფართო საზოგადოების ცვალებადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობა: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და გარე უწყებების აქტიური ჩართვა, მრავალფეროვანი პერსპექტივების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი წვლილის უზრუნველსაყოფად.
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების წარმართვის, გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენის, სტრატეგიული ინიციატივების გაცნობის და შემდგომი განხორციელების მიზნით მონაცემების, უკუკავშირის და ემპირიული მტკიცებულებების გამოყენება.
- ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ღიაობის, გამჭვირვალობის და ყველა ქმედებასა და შედეგში მკაფიო ანგარიშვალდებულების გათვალისწინების უზრუნველყოფა, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის საქმიანობის მიმართ ნდობის და რწმენის ჩამოყალიბებას.
- ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა: ეროვნული აკრედიტაციის/ავტორიზაციის ორგანოების, როგორც არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც არის მსოფლიო სამედიცინო განათლების ფედერაციის სტანდარტებთან და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობა.

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს სტრუქტურა

ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო აგებულია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული კომპონენტის ირგვლივ, რომლებიც ერთობლივად მხარს უჭერენ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ უნივერსიტეტის ვალდებულებას. აღნიშნული კომპონენტები მოიცავს:

- პოლიტიკის და პროცედურების შემუშავება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია მკაფიო პოლიტიკის და პროცედურების შემუშავებაზე და შენარჩუნებაზე, რომლებიც განსაზღვრავენ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და მოლოდინებს ყველა აკადემიური და ადმინისტრაციული ფუნქციის მიმართულებით.
- შეფასება და გადახედვა: რეგულარულად ფასდება საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესი, კვლევა და სერვისები მათი ეფექტურობის, რელევანტურობის და ინსტიტუციურ მიზნებთან შესაბამისობის შესაფასებლად. აღნიშნული მოიცავს სასწავლო გეგმის გადახედვას, სწავლის შედეგების შეფასებას, ნიშნულებს, გარე შეფასებას, შრომის ბაზრის და დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, თანამშრომლები და ინდუსტრიის პარტნიორები) უკუკავშირს.
- აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა: უზრუნველყოფს, რომ ყველა პროგრამა და მთლიანად დაწესებულება აკმაყოფილებს აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოების და მარეგულირებელი უწყებების მიერ დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული მოიცავს დოკუმენტაციის მომზადებას, ანგარიშების წარდგენას და აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტანდარტებთან უწყვეტი შესაბამისობის უზრუნველყოფას.
- უწყვეტი გაუმჯობესების ციკლი (PDCA): დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე (PDCA) ციკლი არის ძირითადი მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება ჩვენს ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოში. ეს უზრუნველყოფს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობები არ არის სტატიკური, არამედ არის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და გაუმჯობესების მიმდინარე პროცესის ნაწილი:
 - დაგეგმე: ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების მიზნების, სტანდარტების და პროცესების შემუშავება.
 - განახორციელე: ხარისხის უზრუნველყოფის ინიციატივების განხორციელება და შესრულების შესახებ მონაცემების შეგროვება.
 - შეამოწმე: მონაცემების ანალიზი მიზნების მიღწევის შესაფასებლად და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენა.
 - იმოქმედე: ანალიზის საფუძველზე მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება და პროცესების და სისტემების გაუმჯობესების უზრუნველყოფა.
- უკუკავშირი და მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზი: მუდმივად ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, თანამშრომლების და გარე დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის შეგროვება და ანალიზი გადაწყვეტილების მიღების და როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული ფუნქციების გასაუმჯობესებლად. აღნიშნულ მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომა უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილებები და დროულად უპასუხოს გამოწვევებს.
- შიდა და გარე აუდიტი: რეგულარული შიდა აუდიტი და გარე შეფასებები უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას, სტანდარტებთან შესაბამისობას და უნივერსიტეტის საერთო მიზნებში წვლილის შეტანას. გარე შეფასებები,

როგორცაა აკრედიტაციის / ავტორიზაციის შეფასებები, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ობიექტურ შეფასებას და იძლევა რეკომენდაციებს და რჩევებს გაუმჯობესებისთვის.

- დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და კომუნიკაცია: აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს აკადემიურ პერსონალთან, თანამშრომლებთან, სტუდენტებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან აქტიურ თანამშრომლობას. აღნიშნული უზრუნველყოფს, ხარისხის უზრუნველყოფასთან, სასწავლო გეგმის განვითარებასთან და ინსტიტუციურ პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ყველა ძირითადი ჯგუფის ხედვების გათვალისწინებას.

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები

ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ძირითადი მიზნებია:

- უზრუნველყოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები და მთლიანად დაწესებულება აკმაყოფილებს ხარისხის უმაღლეს სტანდარტებს და შეესაბამება აკრედიტაციის და ავტორიზაციის მოთხოვნებს.
- უწყვეტად შეაფასოს და გააუმჯობესოს სტუდენტების სწავლის შედეგები და აკადემიური გამოცდილება.
- წაახალისოს უნივერსიტეტში ხარისხის და უწყვეტი გაუმჯობესების კულტურა.
- ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, უზრუნველყოს უკუკავშირის გამოყენება პოზიტიური ცვლილებების განსახორციელებლად.
- ხელი შეუწყოს ინსტიტუციურ ანგარიშვალდებულებას გამჭვირვალე პროცესების, რეგულარული ანგარიშგების, რეკომენდაციების და განხორციელებული ქმედებების შემდგომი მონიტორინგის მეშვეობით.

აღნიშნული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს განხორციელებით, აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტი ცდილობს შეინარჩუნოს სრულყოფილებისადმი საკუთარი ვალდებულება და უზრუნველყოს, რომ ყველა პროგრამა და სერვისი არის უმაღლესი დონის, რაც ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოფს გამორჩეულ საგანმანათლებლო გამოცდილებას. შემუშავებული ჩარჩო დინამიური და ადაპტირებადია, რომელიც პასუხობს ახალ ტენდენციებს, გამოწვევებს და აკადემიური საზოგადოების ცვალებად საჭიროებებს.

თავი III: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობები

აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს აკადემიური სრულყოფილების, ინსტიტუციური ეფექტურობის და უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფაში. ქვემოთ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რომლებიც დეტალურად აღწერენ სხვადასხვა პროცესს, რომელსაც ახორციელებს აღნიშნული სამსახური უნივერსიტეტში განათლების და სერვისების ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია უნივერსიტეტის პროგრამების და სერვისების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების განმსაზღვრელი პოლიტიკის და პროცედურების შემუშავებაზე და შენარჩუნებაზე.
- პოლიტიკის გადახედვა და განახლება: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის რეგულარული გადახედვა და განახლება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან, რეგულაციებთან და უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან მისი შესაბამისობა.
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა: უზრუნველყოფს ყველა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისობას ეროვნულ ჩარჩოებთან და დარგობრივ მახასიათებლებთან (არსებობის შემთხვევაში), როგორც არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნები და საერთაშორისო სტანდარტები, როგორცაა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები და მედიცინის განათლების მსოფლიო ფედერაციის სტანდარტები.

პროგრამის შეფასება

- სასწავლო გეგმის გადახედვა: პროგრამების რეგულარული გადახედვის ზედამხედველობა მათი რელევანტურობის, ეფექტურობის და ინსტიტუციურ მიზნებთან შესაბამისობის შესაფასებლად. აღნიშნული მოიცავს უკუკავშირის შეგროვების მიზნით, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას.
- სწავლის შედეგების შეფასება: სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მიზნით პროცესების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების ეფექტურ მიღწევას. აღნიშნული მოიცავს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემების შეგროვებას და ამ მონაცემების საფუძველზე სწავლების მეთოდების და სასწავლო გეგმის სტრუქტურის გაუმჯობესებას.
- პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესება: პროგრამების შეფასებების შედეგად მიღებული მონაცემების და უკუკავშირის გამოყენება ცვლილებების შესატავაზებლად და განსახორციელებლად, რომლებიც აუმჯობესებენ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს, სტუდენტების გამოცდილებას და ზოგად საგანმანათლებლო შედეგებს.

აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა

- აკრედიტაციის და ავტორიზაციის მართვა: პროგრამული აკრედიტაციის და ინსტიტუციური შეფასებებისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადების და წარდგენის პროცესის კოორდინაცია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამისობას ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციის/ავტორიზაციის ორგანოების აკრედიტაციის/ავტორიზაციის სტანდარტებთან.
- შესაბამისობის მონიტორინგი: უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკასთან, გარე რეგულაციებთან და აკრედიტაციის/ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უწყვეტი მონიტორინგი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს დეპარტამენტების და ერთეულების

ხელმძღვანელობას იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათ მიერ დადგენილი ხარისხის კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

- გარე აუდიტებისთვის და შეფასებებისთვის მომზადება: გარე შეფასებების პროცესის მართვა, მათ შორის გარე აუდიტებისთვის და აკრედიტაციის/ვტორიზაციის ვიზიტებისთვის მომზადება და მხარდაჭერა, ასევე მიგნებებზე დაფუძნებული მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელების უზრუნველყოფა.

უწყვეტი განვითარების ინიციატივები

- მონაცემთა ანალიზი და ანგარიშგება: გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენის მიზნით პროგრამების შეფასებებიდან, სტუდენტების შეფასებებიდან, უკუკავშირის კითხვარებიდან და გარე შეფასებებიდან მიღებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნულ მონაცემებს იყენებს ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივების შესამუშავებლად.
- ხარისხის გაუმჯობესების პროექტები: აკადემიურ და ადმინისტრაციულ სფეროებში უწყვეტი განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს ან ხელს უწყობს ხარისხის გაუმჯობესების პროექტებს, რომლებიც შექმნილია უნივერსიტეტის საქმიანობაში გამოვლენილი სისუსტეების ან ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
- მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება: გასაუმჯობესებელი სფეროების მონიტორინგი მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებით და მათი ეფექტურობის შემოწმებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს დეპარტამენტებთან იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხარისხის მიმართულებით განხორციელებული ქმედებები იწვევენ ხელშესახებ გაუმჯობესებას.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და თანამშრომლობა

- თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და თანამშრომლებთან: აკადემიურ პერსონალთან და უნივერსიტეტის პერსონალის წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გაგების უზრუნველყოფის და მათში ჩართულობის წასახალისების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს ხარისხის, უწყვეტი გაუმჯობესების და აკადემიურ და ინსტიტუციურ მიზნებთან შესაბამისობის მიმართ საერთო ვალდებულების წახალისებას.
- სტუდენტებთან თანამშრომლობა: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში სტუდენტების აქტიური ჩართვა, მათ შორის გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფების და აკადემიურ საბჭოებში წარმომადგენლობის მეშვეობით უკუკავშირის მიღება. სტუდენტების ჩართულობა მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების და სერვისების ხარისხის შესაფასებლად.
- გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა: თანამშრომლობა გარე დაინტერესებულ მხარეებთან, როგორცაა დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკრედიტაციის/ვტორიზაციის ორგანოები და პროფესიული ორგანიზაციები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს აღნიშნული ჯგუფებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას პროგრამების შეფასებებში, სასწავლო გეგმის განვითარებაში და ხარისხის უზრუნველყოფის სხვა აქტივობებში.

ანგარიშგება და კომუნიკაცია

- ანგარიშგება ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების შესახებ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია რეგულარული ანგარიშების მომზადებაზე ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების, მათ შორის პროგრამების შეფასებების, აკრედიტაციის / ავტორიზაციის სტატუსის და უწყვეტი გაუმჯობესების პროექტების შესახებ. ხორციელდება აღნიშნული ანგარიშების გაზიარება ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ და უნივერსიტეტის პერსონალთან და გარე ორგანოებთან.
- წლიური ანგარიშგება: ხარისხის უზრუნველყოფის წლიური ანგარიშების მომზადება, რომელიც აჯამებს უნივერსიტეტის საქმიანობას ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილების მიმართულებით, წარმოაჩენს წარმატებებს და გამოავლენს გასაუმჯობესებელ სფეროებს.
- შეხვედრები და პრეზენტაციები: ხარისხის უზრუნველყოფის მიგნებების განსახილველად, რეკომენდაციების გასაზიარებლად და გაუმჯობესების ქმედებების პროგრესზე დაკვირვების მიზნით აკადემიურ და ადმინისტრაციულ ერთეულებთან რეგულარული შეხვედრების ორგანიზება და მათში მონაწილეობა.
- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირება ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიმართულებით უნივერსიტეტის პროგრესის შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას რეკომენდაციებზე და უკუკავშირზე რეაგირების მიზნით განხორციელებული ქმედებების მონიტორინგით.

ტრენინგი და განვითარება

- აკადემიური პერსონალის თანამშრომლების პროფესიული განვითარება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს უწყვეტ ტრენინგებს და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს აკადემიური პერსონალისთვის და თანამშრომლებისთვის, რათა გააუმჯობესოს მათი ცოდნა ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკის, შეფასების მეთოდების და საგანმანათლებლო საუკეთესო პრაქტიკის შესახებ.
- ვორქშოპები და სემინარები: ვორქშოპების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შესახებ ინფორმაციის გავრცელების, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ხარისხის კულტურის ხელშეწყობის მიზნით.
- ხარისხის კულტურის ხელშეწყობა: უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ხელშეწყობა აკადემიური პერსონალის, თანამშრომლების და სტუდენტების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართულობის და წვლილის შეტანის წახალისების გზით.

მონიტორინგი და შეფასება

- ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის შიდა მონიტორინგი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტურობის უწყვეტ მონიტორინგზე და მათი დაგეგმილი სახით განხორციელების უზრუნველყოფაზე. აღნიშნული მოიცავს ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივების გავლენის და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის საერთო შედეგების შეფასებას.

- გარე შეფასებები და უკუკავშირი: გარე ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებში ჩართულობა, როგორცაა ხარისხის უზრუნველყოფის კონფერენციებში, ვორქშოპებში და ქსელებში მონაწილეობა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ფლობს ინფორმაციას ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ და საერთაშორისო სიხლეებთან დაკავშირებით და ითვალისწინებს შესაბამის მიგნებებს საუნივერსიტეტო პრაქტიკაში.
- შემდგომი ნაბიჯები და გავლენის შეფასება: ხარისხის გაუმჯობესების განხორციელების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკვირდება აღნიშნული ცვლილებების გავლენას და უზრუნველყოფს, რომ მაკორექტირებელი ქმედებები იწვევს პროგრამის ხარისხის და ინსტიტუციური შედეგების გაზომვად გაუმჯობესებას.

თავი IV: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები

აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები შემუშავებულია განათლების ხარისხის, საგანმანათლებლო პროგრამების და ინსტიტუციური სერვისების სისტემატური შეფასების, მონიტორინგის და გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტი აკმაყოფილებს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს, ხელს უწყობს მუდმივ გაუმჯობესებას და იცავს თავის ვალდებულებას სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისთვის და თანამშრომლებისთვის უზრუნველყოს გამორჩეული საგანმანათლებლო გამოცდილება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ეფუძნება გამჭვირვალობის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პრინციპებს. აღნიშნული პროცესები სტრუქტურირებულია ისე, რომ იყოს განმეორებითი და დინამიური, რაც უზრუნველყოფს აკადემიური და ინსტიტუციური საქმიანობის ყველა ასპექტის უწყვეტ დახვეწას და გაუმჯობესებას.

მუხლი 1. შეფასება და გადახედვა

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება:

- სასწავლო გეგმის გადახედვის პროცესი:
 - მიზანი: იმის უზრუნველყოფა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები არის თანამედროვე, რელევანტური და შეესაბამება ინსტიტუციურ მიზნებს და აკრედიტაციის სტანდარტებს.
 - პროცესი: რეგულარულად ტარდება სასწავლო გეგმის გადახედვა მისი ეფექტურობის შესაფასებლად სწავლის შედეგების მიდწევის, ინდუსტრიის მოთხოვნების და ახალი აკადემიური ტენდენციების კუთხით. აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და გარე დაინტერესებული მხარეების (მათ შორის დამსაქმებლების და აკრედიტაციის//ვტორიზაციის ორგანოების) მოსაზრებები გროვდება გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფების და კონსულტაციების მეშვეობით.
 - შედეგები: სასწავლო გეგმის მოდიფიცირება, სწავლების მეთოდების განახლება და პროგრამის რესტრუქტურიზაცია აკადემიური სიმკაცრის და სტუდენტების წარმატების გაუმჯობესების მიზნით.
- სწავლის შედეგების შეფასება:

- მიზანი: სწავლების და სწავლის ეფექტურობის გაზომვა და იმის დადგენა, აღწევენ თუ არა საგანმანათლებლო პროგრამები დასახულ შედეგებს.
- პროცესი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყველა პროგრამისთვის ადგენს სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების პროცესებს. აღნიშნული მოიცავს გამოცდების, დავალებების, პროექტზე დაფუძნებული შეფასებების და პორტფოლიოს შეფასებების გამოყენებას. მონაცემები გროვდება როგორც პროგრამის, ისე კურსის დონეზე.
- შედეგები: სტუდენტების სწავლის პროცესში ხარვეზების ან სუსტი მხარეების გამოვლენა, რასაც მოსდევს სწავლების სტრატეგიების და სასწავლო შინაარსის მიზნობრივი გაუმჯობესება.
- შედარება
 - მიზანი: უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების, პოლიტიკის და შედეგების შედარება წამყვან ეროვნულ და საერთაშორისო დაწესებულებებთან კონკურენტუნარიანობის და საუკეთესო პრაქტიკის დაცვის უზრუნველსაყოფად.
 - პროცესი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებას უწევს შედარების აქტივობების განხორციელებას საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემების განხილვით, შედარების ქსელებში მონაწილეობით და პარტნიორი დაწესებულებებიდან ძირითადი შესრულების ინდიკატორების ანალიზით. აღნიშნული მოიცავს სასწავლო გეგმის სტრუქტურის, სწავლების მეთოდოლოგიების და კურსდამთავრებულთა შედეგების შეფასებას.
 - შედეგები: გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენა, ინოვაციური პრაქტიკის დანერგვა და გლობალურ აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობა.
- შრომის ბაზრის კვლევა
 - მიზანი: საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სტუდენტების წარმატებული კარიერისთვის მომზადება.
 - პროცესი: სამუშაო ძალის მიმდინარე და სამომავლო საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს ინდუსტრიის პარტნიორებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან. შრომის ბაზრის ტენდენციების ანალიზი ხორციელდება დამსაქმებელთა გამოკითხვების, ინდუსტრიის ანგარიშების და მრჩეველთა საბჭოს კონსულტაციების მეშვეობით.
 - შედეგები: ინდუსტრიის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების და კურსების შემუშავება, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა და უნივერსიტეტის პარტნიორობის გაძლიერება ინდუსტრიის წარმომადგენლებთან.
- დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი
 - მიზანი: საგანმანათლებლო პროგრამების და ინსტიტუციური სერვისების მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, თანამშრომლების, კურსდამთავრებულების და გარე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინება.
 - პროცესი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აგროვებს თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს.

- შედეგები: მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, რომლებიც აუმჯობესებენ პროგრამის ხარისხს, აძლიერებენ სწავლების ეფექტურობას და უზრუნველყოფენ ინსტიტუციური პრაქტიკის დაინტერესებული მხარეების მოლოდინებთან შესაბამისობას.

კვლევა

- მიზანი: კვლევითი საქმიანობის ხარისხის და გავლენის შეფასება და ინსტიტუციურ პრიორიტეტებთან და საზოგადოებრივ საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- პროცესი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს კვლევით ერთეულებთან კვლევითი პროექტების რელევანტურობის, ხარისხის და შედეგების შესაფასებლად. აღნიშნული მოიცავს გამოქვეყნებების მაჩვენებლების, გრანტების მოპოვების და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმოხილვას. ასევე გროვდება დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი კვლევაზე საზოგადოებრივი და ინდუსტრიული გავლენის შესაფასებლად.
- შედეგები: გაძლიერებული კვლევის ხარისხი, აკადემიურ და საზოგადოებრივ მიზნებთან გაუმჯობესებული შესაბამისობა და ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კვლევითი წარმატების აღიარება.

სასწავლო პროცესი

- მიზანი: უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების ეფექტურობის, ხელმისაწვდომობის და ხარისხის შეფასება და გაუმჯობესება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
- პროცესი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზედამხედველობას უწევს სასწავლო განრიგების, დასწრების აღრიცხვის, ლექციის, გამოცდების ორგანიზების და თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვის მონიტორინგს. რეგულარულად ტარდება გამოკითხვები და ფოკუს ჯგუფები სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან სწავლების მეთოდოლოგიებით, რესურსების ხელმისაწვდომობით და ადმინისტრაციული მხარდაჭერით კმაყოფილების შესაფასებლად.
- შედეგები: გაუმჯობესებული სასწავლო გამოცდილება, დახვეწილი სასწავლო განრიგები და სწავლების ინოვაციური ინსტრუმენტების და მეთოდოლოგიების გამოყენება აკადემიური წარმატების მხარდასაჭერად.

სერვისები

- მიზანი: იმის უზრუნველყოფა, რომ უნივერსიტეტის მხარდამჭერი სერვისები აკმაყოფილებს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და თანამშრომლების საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური და მხარდამჭერი აკადემიური გარემოს შექმნას.
- პროცესი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს ისეთი სერვისების ეფექტურობას, როგორიცაა აკადემიური კონსულტირება, კარიერული განვითარება, საბიბლიოთეკო რესურსები, საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერა და სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამები. აღნიშნული მოიცავს რეგულარული უკუკავშირის შეგროვებას გამოკითხვების და სერვისების შეფასების მეშვეობით.

- შედეგები: მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესებული ხარისხი და ხელმისაწვდომობა, დაინტერესებული მხარეების გაზრდილი კმაყოფილება და ახალი სერვისების შემუშავება ახალი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 2. აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა

- პროგრამის აკრედიტაცია და ავტორიზაცია:
 - **მიზანი:** იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამა და მთლიანად დაწესებულება აკმაყოფილებს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნებს, აუმჯობესებს ხარისხს და შეესაბამება უმაღლესი განათლების საუკეთესო პრაქტიკას.
 - **პროცესი:** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებას უწევს როგორც პროგრამული აკრედიტაციის, ასევე ინსტიტუციური ავტორიზაციის განაცხადების მომზადებას, წარდგენას და შემდგომ მონიტორინგს. აღნიშნული მოიცავს:
 1. ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციის/ავტორიზაციის ორგანიზაციების (მაგ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მსოფლიო სამედიცინო განათლების ფედერაცია, ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები) მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.
 2. ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმებთან შესაბამისობის მტკიცებულებების შეგროვებას და ვალიდაციას, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშების, პოლიტიკის და დამხმარე დოკუმენტაციის ჩათვლით.
 3. უნივერსიტეტის მასშტაბით ავტორიზაციის პროცესის მომზადების ორგანიზებას და ზედამხედველობას, დაინტერესებული მხარეების (აკადემიური პერსონალი, თანამშრომლები, სტუდენტები და გარე პარტნიორები) ჩართულობის გათვალისწინებით.
 4. უნივერსიტეტის დეპარტამენტებთან თანამშრომლობა პრაქტიკის აკრედიტაციის და ავტორიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.
 5. აკრედიტაციის და ავტორიზაციის ექსპერტთაჯგუფების ვიზიტების ხელშეწყობას, მათ კითხვებზე დროულ რეაგირებას და შეფასებებისთვის მზადყოფნის უზრუნველყოფას.
 - **შედეგები:**
 1. წარმატებული აკრედიტაცია და ავტორიზაცია: დაწესებულება და მისი პროგრამები მუდმივად იღებს და ინარჩუნებს აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტატუსს.
 2. უწყვეტი მონიტორინგი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს, რომ აკრედიტებული პროგრამები და დაწესებულება უწყვეტი შეფასების და პერიოდული შიდა აუდიტების მეშვეობით იცავს მოთხოვნილ სტანდარტებს.
 3. გაუმჯობესების გეგმები: აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოების მიერ გაცემული განხორციელებადი რეკომენდაციები გათვალისწინებულია ინსტიტუციური და პროგრამული დონის გაუმჯობესების გეგმებში.

4. მდგრადობა: ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან გრძელვადიანი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება ხარისხის კულტურის ხელშეწყობა.

- შესაბამისობის მონიტორინგი:
 - **მიზანი:** უნივერსიტეტის მიერ შიდა პოლიტიკის, ეროვნული რეგულაციების და აკრედიტაციის/ვტორიზაციის მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა.
 - **პროცესი:** უნივერსიტეტის საქმიანობის უწყვეტი მონიტორინგი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა დეპარტამენტი და პროგრამა იცავს ხარისხის უზრუნველყოფის დადგენილ პოლიტიკას და პროცედურებს. რეგულარულად ტარდება შიდა აუდიტი და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, დეპარტამენტები იღებენ უკუკავშირის და მხარდაჭერას.
 - **შედეგები:** შეუსაბამობის საკითხების ადრეული გამოვლენა და მაკორექტირებელი ზომების განხორციელება სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

- უკუკავშირის მექანიზმები:
 - **მიზანი:** შესაბამისი მონაცემების და უკუკავშირის შეგროვება სტუდენტებისგან, აკადემიური პერსონალისგან, თანამშრომლებისგან და გარე დაინტერესებული მხარეებისგან ხარისხის უზრუნველყოფის გადაწყვეტილებების მისაღებად.
 - **პროცესი:** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს უკუკავშირის ყოვლისმომცველ სისტემებს, მათ შორის სტუდენტთა გამოკითხვებს, აკადემიური პერსონალის შეფასებებს და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის. დამატებით, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები გროვდება ფოკუს ჯგუფების, გარე შემფასებლების და დამსაქმებელთა გამოკითხვების მეშვეობით.
 - **შედეგები:** ქმედითი მონაცემები, რომლებიც წარმოაჩენენ საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების მეთოდების და ინსტიტუციური სერვისების ძლიერ მხარეებს, სუსტ მხარეებს და გაუმჯობესების შესაძლებლობებს.
- მონაცემთა ანალიზი:
 - **მიზანი:** შეგროვებული მონაცემების ანალიზი ტენდენციების, მაგალითების და პრობლემური სფეროების გამოსავლენად.
 - **პროცესი:** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს სხვადასხვა ანალიტიკურ ინსტრუმენტს უკუკავშირის მონაცემების და შესრულების ინდიკატორების შესაფასებლად. აღნიშნული მონაცემები განიხილება ყოველწლიურად არსებული პრაქტიკის და პოლიტიკის ეფექტურობის შესაფასებლად.
 - **შედეგები:** მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეხედულებები, რომლებიც განაპირობებს გაუმჯობესებას სწავლებაში, პროგრამების განვითარებაში, სტუდენტების მხარდაჭერის სერვისებში და ინსტიტუციურ პროცესებში.

მუხლი 4. უწყვეტი გაუმჯობესების ციკლი (PDCA)

- დაგეგმვა:

- **მიზანი:** ხარისხის უზრუნველყოფის მიზნების განსაზღვრა და საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, სწავლების პრაქტიკისთვის და მთლიანად ინსტიტუციისთვის სტანდარტების დადგენა.
- **პროცესი:** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს აკადემიურ და ადმინისტრაციულ ერთეულებთან მკაფიო მიზნების დასახვის, ნიშნულების დადგენის და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით, რომლებიც შეესაბამება ინსტიტუციურ პრიორიტეტებს და აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტანდარტებს.
- **შედეგები:** მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს უწყვეტი გაუმჯობესების მიმართულებას.
- **განხორციელება:**
 - **მიზანი:** ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების განხორციელება და მიზნების პროგრესის მონიტორინგი.
 - **პროცესი:** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დაგეგმილი აქტივობების განხორციელებლად თანამშრომლობს დეპარტამენტებთან, მათ შორის სასწავლო გეგმის გადახედვის, შეფასების ახალი სტრატეგიების და აკადემიური პერსონალის განვითარების პროგრამების ჩათვლით. მიმდინარე მონიტორინგი უზრუნველყოფს აქტივობების დაგეგმილი სახით განხორციელებას.
 - **შედეგები:** საქმიანობის რეგულარული მონიტორინგით ხარისხის ინიციატივების წარმატებული განხორციელება, გეგმასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- **შეამოწმე:**
 - **მიზანი:** ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის ეფექტურობის შეფასება და ხარისხის მიზნების მიღწევის დონის შეფასება.
 - **პროცესი:** განხორციელების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს შეფასებებს უკუკავშირის, შესრულების მონაცემების და სხვა შესაბამისი ინდიკატორების გამოყენებით. აღნიშნული მოიცავს ხარისხის გაუმჯობესების მიზნების მიღწევის შეფასებას და იმ სფეროების გამოვლენას, რომლებიც საჭიროებს შემდგომ დახვეწას.
 - **შედეგები:** იმ სფეროების მკაფიო იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებს კორექტირებას, შეფასების შედეგებზე დაინტერესებული მხარეებისთვის უკუკავშირის მიწოდებასთან ერთად.
- **იმოქმედე:**
 - **მიზანი:** შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მაკორექტირებელი ქმედებების და ცვლილებების განხორციელება.
 - **პროცესი:** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს მაკორექტირებელი ქმედებების და გაუმჯობესებების განხორციელების ძალისხმევას, უზრუნველყოფს მომავალ ციკლებში გამოვლენილი სისუსტეების გათვალისწინებას. საჭიროებისამებრ ხორციელდება სამოქმედო გეგმების განახლება და გაუმჯობესების მხარდასაჭერად რესურსების გამოყოფა.
 - **შედეგები:** ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკის უწყვეტი დახვეწა, პროგრამის ხარისხის, სტუდენტების სწავლის და ინსტიტუციური ეფექტურობის გაუმჯობესების მტკიცებულებებით.

მუხლი 5. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

- სტუდენტების ჩართულობა:
 - **მიზანი:** ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტების აქტიური ჩართვა და მათი პერსპექტივების ასახვა ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობაში.
 - **პროცესი:** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს გამოკითხვებში, ფოკუს ჯგუფებში და პროგრამების შეფასების კომიტეტებში სტუდენტების მონაწილეობის შესაძლებლობას. გარდა ამისა, სტუდენტთა წარმომადგენლები მონაწილეობენ აკადემიურ და სკოლის საბჭოებში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარსადგენად.
 - **შედეგები:** სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა ხარისხის უზრუნველყოფისადმი, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პროგრამების და სერვისების რეაგირებას სტუდენტების საჭიროებებთან და მოლოდინებთან.
- აკადემიური პერსონალის და თანამშრომლების კოლაბორაცია:
 - **მიზანი:** აკადემიურ პერსონალს, თანამშრომლებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის ხარისხის უზრუნველყოფისადმი თანამშრომლობითი მიდგომის ხელშეწყობა.
 - **პროცესი:** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს აკადემიურ პერსონალთან და უნივერსიტეტის თანამშრომლებთან ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივების განსახორციელებლად, უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას პროგრამების შეფასების და სასწავლო გეგმის გადახედვის პროცესში. ტარდება ტრენინგები და განმავითარებელი ვორქშოპები ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკაში შესაძლებლობების განვითარების მიზნით.
 - **შედეგები:** ხარისხის უზრუნველყოფის საერთო პასუხისმგებლობის კულტურა, სადაც აკადემიურ პერსონალს და თანამშრომლებს აქტიურად შეაქვთ წვლილი უწყვეტი გაუმჯობესების ძალისხმევაში.
- გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა:
 - **მიზანი:** მოსაზრებების შეგროვება გარე დაინტერესებული მხარეებისგან, როგორიცაა დამსაქმებლები, ინდუსტრიის პარტნიორები და აკრედიტაციის/ვტორიზაციის ორგანოები იმის უზრუნველსაყოფად, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება ინდუსტრიის საჭიროებებს და სტანდარტებს.
 - **პროცესი:** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს გარე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას მრჩეველთა საბჭოების, დამსაქმებლების გამოკითხვების და საკონსულტაციო შეხვედრების მეშვეობით. მათი უკუკავშირი გათვალისწინებულია სასწავლო გეგმის გადახედვის და პროგრამების შეფასების პროცესში.
 - **შედეგები:** იმის უზრუნველყოფა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება ინდუსტრიის საჭიროებებს და ინარჩუნებს ხარისხის და დასაქმებადობის მაღალ სტანდარტებს.

მუხლი 6. ანგარიშგება და კომუნიკაცია

მიზანი: ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის შედეგების გაცნობა, მათ შორის ინსტიტუციური ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის საკითხების, უწყვეტი გაუმჯობესების ინიციატივებში პროგრესის გაზიარება.

პროცესი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია დეტალური ანგარიშების მომზადებაზე და გავრცელებაზე გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული მოიცავს:

1. **ხარისხის უზრუნველყოფის წლიური ანგარიშები:** ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების, შედეგების და სტრატეგიული რეკომენდაციების ყოვლისმომცველი შფასება.
2. **პროგრამის შეფასების ანგარიშები:** ძლიერი მხარეების, გასაუმჯობესებელი სფეროების და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის განვითარების გეგმების ძირითადი ასპექტები.
3. **აკრედიტაციის და ავტორიზაციის განახლებები:** რეგულარული განახლებები ინსტიტუციური ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის აქტივობების შესახებ, მათ შორის მომზადების პროგრესი, ვიზიტის შედეგები და სტანდარტებთან შესაბამისობა.
4. **გაუმჯობესების ქმედებების პროგრესი:** დოკუმენტაცია აკრედიტაციის და ავტორიზაციის ორგანოების რეკომენდაციების, ასევე შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების შესახებ.
5. **დაინტერესებული მხარეების ჩართულობა:** მეხვედრების და პრეზენტაციების ორგანიზება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის, აკადემიური პერსონალისთვის, თანამშრომლებისთვის, სტუდენტებისთვის და გარე დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების, უკუკავშირის მიღების და გაუმჯობესების სტრატეგიებზე შეთანხმების მიზნით.

შედეგები:

1. **გამჭვირვალობა:** ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების და შედეგების შესახებ მკაფიო ინფორმაციის მიწოდება ხელს უწყობს ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის ნდობის და ჩართულობის გაძლიერებას.
2. **დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება:** ხელმძღვანელობა და აკადემიური ერთეულები იღებენ დროულ და ზუსტ ინფორმაციას პოლიტიკის განსახორციელებლად და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად.
3. **ანგარიშვალდებულების ხელშეწყობა:** რეგულარული ანგარიშგება უზრუნველყოფს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართული ყველა მხარე აცნობიერებს საკუთარ როლს და პასუხისმგებლობებს ხარისხის სტანდარტების შენარჩუნებაში და გაუმჯობესებაში.
4. **დაინტერესებული მხარეების თანხვედრა:** ინსტიტუციური ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის პროგრესის გაზიარება ხელს უწყობს თანამშრომლობას და მხარს უჭერს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს.

თავი V: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა წარმოადგენს ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მნიშვნელოვან კომპონენტს. შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის ჩართულობა უზრუნველყოფს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა არის ყოვლისმომცველი, ინკლუზიური და პასუხობს იმ პირების საჭიროებებს და მოლოდინებს, რომლებზეც უშუალო გავლენას ახდენს უნივერსიტეტის საქმიანობა. მრავალფეროვანი პერსპექტივების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მისი საქმიანობის შესაბამისობას ინსტიტუციურ მიზნებთან და აკმაყოფილებს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

უნივერსიტეტი აღიარებს, რომ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა და ღია კომუნიკაცია აუცილებელია უწყვეტი გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული ნაწილი აღწერს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართულ ძირითად დაინტერესებულ მხარეებს და მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ისინი მონაწილეობენ პროცესებში.

მუხლი 1. შიდა დაინტერესებული მხარეები

შიდა დაინტერესებული მხარეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ძალისხმევაში, წვლილი შეაქვთ ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების განვითარებაში, განხორციელებაში და შეფასებაში.

- სკოლა და აკადემიური პერსონალი:
 - **როლი:** აკადემიური პერსონალი ცენტრალურ როლს ასრულებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში და სტუდენტთა სწავლის შეფასებაში. ისინი ჩართულნი არიან პროგრამების შეფასებაში, სასწავლო გეგმის შემუშავებაში, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში, სასწავლო პროცესის მართვაში და კვლევითი შესაძლებლობების განვითარებაში.
 - **ჩართულობა:** აკადემიური პერსონალი მონაწილეობს სასწავლო გეგმის რეგულარულ გადახედვაში, წვლილი შეაქვს სწავლების პრაქტიკაში და მონაწილეობს პროგრამის ეფექტურობის შეფასებაში. ისინი ასევე აქტიურ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივებში და ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებზე დაფუძნებული ცვლილებების განხორციელებაში.
 - **მექანიზმები:** აკადემიური პერსონალი მონაწილეობს აკადემიურ საბჭოებში, პროგრამის შეფასების კომიტეტებში და ხარისხის გაუმჯობესების გუნდებში. ისინი ასევე მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ პროფესიული განვითარების ვორქშოპებში მათი ცოდნის გაძლიერების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და პრაქტიკის მიმართულებით.
- სტუდენტები:
 - **როლი:** როგორც საგანმანათლებლო პროცესის მთავარი ბენეფიციარები, სტუდენტები წარმოადგენენ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითად დაინტერესებულ მხარეებს. მათი უკუკავშირი იძლევა ღირებულ ინფორმაციას სწავლების, სასწავლო გეგმის და სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების ეფექტურობის შესახებ.

- **ჩართულობა:** სტუდენტები მონაწილეობენ პროგრამების შეფასებაში, გამოკითხვებში, ფოკუს ჯგუფებში და კომიტეტების განხილვებში. სტუდენტთა წარმომადგენლები არიან აკადემიური საბჭოს და სკოლის საბჭოს წევრები, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათი ხმის გათვალისწინებას.
- **მექანიზმები:** პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებებში მონაწილეობა, როგორცაა სტუდენტთა რეგულარული უკუკავშირის გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფებში და ხარისხის უზრუნველყოფის შეხვედრებში ჩართულობა, სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოხატონ თავიანთი ხედვები აკადემიურ გამოცდილებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სტუდენტები წახალისებულნი არიან წარმოადგინონ უკუკავშირი სტუდენტური თვითმმართველობის მეშვეობით, რომელიც აქტიურად მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.
- **ადმინისტრაციული პერსონალი:**
 - **როლი:** ადმინისტრაციული პერსონალი მხარს უჭერს უნივერსიტეტის ფუნქციონირების ასპექტებს, წვლილი შეაქვს სერვისების, ინფრასტრუქტურის და ზოგადად სტუდენტური გამოცდილების ხარისხში.
 - **ჩართულობა:** ადმინისტრაციული პერსონალი იძლევა უკუკავშირს შიდა პროცესების ეფექტურობის შესახებ და მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებში, რომლებიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესებას. თავიანთი საქმიანობის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ისინი ასევე ჩართულნი არიან ტრენინგებში და განვითარების პროგრამებში.
 - **მექანიზმები:** ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებში პროცესების შეფასებით, ტრენინგებში და უკუკავშირის მექანიზმებში მონაწილეობით, რაც ხელს უწყობს ადმინისტრაციული სერვისების გაუმჯობესებას.

მუხლი 2. გარე დაინტერესებული მხარეები

გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები იყოს რელევანტური, მკაცრი და შეესაბამებოდეს ინდუსტრიის სტანდარტებს. აღნიშნული დაინტერესებული მხარეები ასევე ეხმარებიან უნივერსიტეტს უზრუნველყოს აკრედიტაციის/ვტორიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა და საზოგადოების საჭიროებების ასახვა.

- **დამსაქმებლები და ინდუსტრიის პარტნიორები:**
 - **როლი:** დამსაქმებლები და ინდუსტრიის პარტნიორები იძლევიან ღირებულ მოსაზრებებს სამუშაო ძალის საჭირო უნარების და კომპეტენციების შესახებ. მათი უკუკავშირი ეხმარება იმის უზრუნველყოფას, რომ საგანმანათლებლო პროგრამები კურსდამთავრებულებს აღჭურავს წარმატებული კარიერისთვის საჭირო ცოდნით და პრაქტიკული გამოცდილებით.
 - **ჩართულობა:** დამსაქმებლები მონაწილეობენ პროგრამების შეფასებაში, სასწავლო გეგმის გადახედვაში და კომიტეტებში (საჭიროების შემთხვევაში). ისინი იძლევიან უკუკავშირს კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობების შესახებ და გასცემენ რეკომენდაციებს უნარების ნაკლოვანებებთან ან დარგის ახალ ტენდენციებთან დაკავშირებით.

- მექანიზმები: დამსაქმებლების გამოკითხვები, კომიტეტის შეხვედრები და ინდუსტრიასთან პარტნიორობა ხელს უწყობს უნივერსიტეტს და გარე პარტნიორებს შორის უწყვეტ კომუნიკაციას. მათი მოსაზრებები გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და შეფასების პროცესში.
- კურსდამთავრებულები:
 - როლი: კურსდამთავრებულები იძლევიან უნიკალურ ხედვას საგანმანათლებლო პროგრამების გრძელვადიანი ეფექტურობის და პროფესიულ სამყაროსთან რელევანტურობის შესახებ. სამუშაო ადგილზე მათი გამოცდილება ეხმარება უნივერსიტეტს შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამების გავლენა.
 - ჩართულობა: კურსდამთავრებულები წარმოადგენენ უკუკავშირის გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფების და კურსდამთავრებულთა ქსელებში მონაწილეობის მეშვეობით. მათ ასევე შეაქვთ წვლილი კარიერული სერვისების განვითარებაში და მოქმედებენ როგორც მენტორები ან მოწვეული სპიკერები მოქმედი სტუდენტებისთვის.
 - მექანიზმები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს კურსდამთავრებულებთან რეგულარული გამოკითხვების, კურსდამთავრებულთა ფორუმების და კონსულტაციების მეშვეობით, პროგრამის შედეგების და კარიერული წინსვლის შესახებ უკუკავშირის შეგროვების მიზნით. კურსდამთავრებულები ასევე მოწვეულნი არიან სასწავლო გეგმის გადახედვაში მონაწილეობის მისაღებად, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
- აკრედიტაციის და ავტორიზაციის ორგანოები და მარეგულირებელი უწყებები:
 - როლი: აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოები და მარეგულირებელი უწყებები უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის აკადემიური ხარისხის, მართვის და ინსტიტუციური ეფექტურობის შესაბამისობას ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან.
 - ჩართულობა: აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოები აფასებენ უნივერსიტეტის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან და გასცემენ რეკომენდაციებს გაუმჯობესებისთვის. შესაბამისობის დადგენის მიზნით, ისინი ასევე ატარებენ რეგულარულ შეფასებებს და ადგილზე ვიზიტებს.
 - მექანიზმები: შეფასების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოებთან, წარადგენს საჭირო დოკუმენტაციას, მონაცემებს და მტკიცებულებებს უნივერსიტეტის შესაბამისობის მხარდაჭერის მიზნით. აკრედიტაციის / ავტორიზაციის შეფასებების შედეგად მიღებული უკუკავშირი და რეკომენდაციები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივებში.
- საზოგადოებრივი პარტნიორები და სოციალური დაინტერესებული მხარეები:
 - როლი: საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სოციალური დაინტერესებული მხარეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის ძალისხმევის შენარჩუნებაში.
 - ჩართულობა: საზოგადოებრივი პარტნიორები თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან კვლევით პროექტებში, სერვისის - სწავლების პროგრამებში და სოციალურ ინიციატივებში. მათი უკუკავშირი ხელს უწყობს იმის უზრუნველყოფას, რომ უნივერსიტეტის პროგრამები ითვალისწინებს და ასახავს ფართო საზოგადოების საჭიროებებს და წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში.
 - მექანიზმები: რეგულარული შეხვედრები, კონსულტაციები და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროექტები საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. მათი წვლილი

გათვალისწინებულია სტრატეგიული დაგეგმვის და პროგრამების განვითარების ძალისხმევაში.

მუხლი 3. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ეფექტურ ჩართულობას სხვადასხვა სტრუქტურირებული და არაფორმალური მექანიზმების მეშვეობით, რომლებიც შექმნილია მოსაზრებების შესაგროვებლად და თანამშრომლობის ხელშეწყობად.

- **გამოკითხვების და უკუკავშირის ფორმები:** პროგრამების, სერვისების და ინსტიტუციური საქმიანობის შესახებ უკუკავშირის შეგროვების მიზნით ტარდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვები.
- **ფოკუს ჯგუფები და კონსულტაციები:** პროგრამის შეფასების, სასწავლო გეგმის განვითარების და ხარისხის გაუმჯობესების საკითხების განსახილველად ტარდება დაინტერესებული მხარეების ფოკუს ჯგუფები.
- **საბჭოებში:** გარე დაინტერესებული მხარეები, როგორც არიან დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, მონაწილეობენ პროგრამის საბჭოებში, სადაც გასცემენ სტრატეგიულ რჩევებს და უზრუნველყოფენ ინდუსტრიის საჭიროებებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას.
- **კომიტეტები და საბჭოები:** სტუდენტთა წარმომადგენლები, აკადემიური და უნივერსიტეტის პერსონალი მონაწილეობენ ისეთ კომიტეტებში, როგორც არის აკადემიური საბჭო, სკოლის საბჭო და სხვა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ორგანოები, რათა გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღებაზე და უზრუნველყონ დაინტერესებული მხარეების მრავალფეროვან საჭიროებებთან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისობა.
- **საჯარო ანგარიშები და შეხვედრები:** საჯარო ანგარიშების, ყოველწლიური შეხვედრების და პრეზენტაციების მეშვეობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აზიარებს განახლებებს ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების შესახებ. აღნიშნული ფორუმები უზრუნველყოფენ გამჭვირვალობას და ყველა დაინტერესებული მხარისგან უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას.

მუხლი 4. დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სარგებელი

- **რელევანტურობა და რეაგირება:** დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები და სერვისები პასუხობს სამუშაო ძალის, სტუდენტების და საზოგადოების საჭიროებებს, რითიც ინარჩუნებს მუდმივად ცვალებად გარემოში მათ რელევანტურობას.
- **უწყვეტი გაუმჯობესება:** შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა ხელს უწყობს უწყვეტი გაუმჯობესების კულტურის დამკვიდრებას, სადაც უკუკავშირი გამოიყენება კონსტრუქციულად საგანმანათლებლო პროგრამების და ინსტიტუციური სერვისების ხარისხის დახვეწის და გაუმჯობესების მიზნით.
- **ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა:** დაინტერესებული მხარეების გადაწყვეტილების მიღების და ანგარიშგების პროცესში ჩართვით, უნივერსიტეტი აძლიერებს თავის ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, რაც ხელს უწყობს ყველა მხარეს შორის ნდობის და თანამშრომლობის ჩამოყალიბებას.

თავი VI: მონიტორინგი და ანგარიშგება

მონიტორინგი და ანგარიშგება წარმოადგენს ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ცენტრალურ ნაწილს, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის ყველა აქტივობის ეფექტურ მონიტორინგს, შეფასებას და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობას. აღნიშნული ნაწილი აღწერს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის პროცესებს, ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივების პროგრესზე დაკვირვებას და შედეგების ანგარიშგებას როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეებისთვის. ეფექტური მონიტორინგი და ანგარიშგება ხელს უწყობს უნივერსიტეტში გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და უწყვეტი გაუმჯობესების კულტურის ჩამოყალიბებას.

მუხლი 1. ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის მონიტორინგი

მონიტორინგი აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ხორციელდება დაგეგმილი სახით და აღწევს დასახულ შედეგებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს სხვადასხვა მეთოდებს და ინსტრუმენტებს აკადემიურ და ადმინისტრაციულ ერთეულებში ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების პროგრესზე და ეფექტურობაზე დაკვირვების მიზნით.

- შესრულების ინდიკატორები და მეტრიკები: ხარისხის უზრუნველყოფის ინიციატივების ეფექტურობის შესაფასებლად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს მკაფიო შესრულების ინდიკატორებს და გაზომვად მეტრიკებს. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება პროგრამის შეფასებით და ადმინისტრაციული მხარდაჭერის შედეგებით, აკრედიტაციის / ავტორიზაციის სტატუსით და სტანდარტებთან შესაბამისობით.
- რეგულარული შიდა შეფასებები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს რეგულარულ შიდა შეფასებებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების, ადმინისტრაციული სერვისების და მხარდაჭერი ფუნქციების შესაბამისობა დადგენილ ხარისხის სტანდარტებთან. აღნიშნული შეფასებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სასწავლო გეგმების შეფასებით და ადმინისტრაციული პროცესების აუდიტით.
- მონაცემთა შეგროვება და ანალიზი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აგროვებს მონაცემებს სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის სტუდენტების გამოკითხვებიდან, აკადემიური პერსონალის უკუკავშირიდან, პროგრამების შეფასებებიდან და აკრედიტაციის/ავტორიზაციის დასკვნებიდან. ხორციელდება აღნიშნული მონაცემების ანალიზი ტენდენციების, გასაუმჯობესებელი სფეროების და ხარისხის უზრუნველყოფის ძალისხმევის ეფექტურობის გამოსავლენად.
- სამოქმედო გეგმების მონიტორინგი: პროგრამების შეფასებების და უკუკავშირის სესიების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის დეპარტამენტებთან გამოვლენილი საკითხების გადასაჭრელად სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე და განხორციელებაზე. დროული შესრულების უზრუნველყოფის და ხარისხის გაუმჯობესებაზე მათი გავლენის შეფასების მიზნით, რეგულარულად ხორციელდება აღნიშნული სამოქმედო გეგმების მონიტორინგი.

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის ანგარიშგება

ანგარიშგება წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს დაინტერესებული მხარეებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის შედეგების გასაცნობად. აღნიშნული უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ქმნის ანგარიშვალდებულების და უწყვეტი გაუმჯობესების პლატფორმას.

- ხარისხის უზრუნველყოფის წლიური ანგარიშები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს წლიურ ანგარიშს, სადაც შეჯამებულია ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი საქმიანობა, შედეგები და აკადემიური წლის განმავლობაში განხორციელებული გაუმჯობესებები. ანგარიში მოიცავს მონაცემებს პროგრამების შეფასების, სტუდენტების კმაყოფილების, ადმინისტრაციული მხარდაჭერის, აკრედიტაციის / ავტორიზაციის განახლებების და უკუკავშირზე რეაგირების შედეგად განხორციელებული ქმედებების შესახებ. წლიური ანგარიში გაზიარებულია რექტორთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებთან, გარე დაინტერესებულ მხარეებთან და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.
- რეგულარული შეხვედრები და პრეზენტაციები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მართავს რეგულარულ შეხვედრებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებთან ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების განსახილველად. აღნიშნული შეხვედრები წარმოადგენს ფორუმს განახლებების გასაზიარებლად, შესრულების ინდიკატორების და ხარისხის გაუმჯობესების ინიციატივების განსახილველად. დაინტერესებული მხარეებისთვის შესაბამისობის და პროგრესის დემონსტრირების მიზნით ასევე შეიძლება გაკეთდეს პრეზენტაციები.
- უკუკავშირი და სამოქმედო გეგმები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ მიიღოს უკუკავშირი შეფასებების და გადახედვის საფუძველზე განხორციელებული სამოქმედო გეგმების შედეგებთან დაკავშირებით. აღნიშნული განახლებები შეიძლება გაზიარდეს შეხვედრების, ელექტრონული საკომუნიკაციო არხების ან ოფიციალური ანგარიშების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და დემონსტრირების უწყვეტი გაუმჯობესების მიმართ უნივერსიტეტის ვალდებულებას.

მუხლი 3. შედეგების გაცნობა და რეკომენდაციები

ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების და რეკომენდაციების ეფექტური გაზიარება გადამწყვეტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ მიიღოს ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის შედეგების და გაუმჯობესებისთვის საჭირო ქმედებების შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს, შედეგების და რეკომენდაციების მკაფიოდ გაზიარებას შესაბამის დეპარტამენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, თანამშრომლებთან და გარე პარტნიორებთან.

- გაუმჯობესების რეკომენდაციები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს გაუმჯობესების კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც ეფუძნება გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და საფრთხეებს. აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულია შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის აკადემიურ დეპარტამენტებთან, ადმინისტრაციულ ერთეულებთან და სკოლის საბჭოებთან და გამოიყენება ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად.

- ქმედებების მონიტორინგი და ანგარიშვალდებულება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკვირდება რეკომენდებული ქმედებების პროგრესს და გაუმჯობესებების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას პასუხისმგებელ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით. რეგულარულად ტარდება შემდგომი შეხვედრები და სტატუსის განახლებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქმედებები განხორციელდეს დროულად და ეფექტურად.
- საჯარო ანგარიშგება: გამჭვირვალობის შენარჩუნების და უნივერსიტეტის ფართო საზოგადოების ჩართულობის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქვეყნებს საჯარო ანგარიშებს სადაც მიმოხილულია ძირითადი შედეგები და ქმედებები.

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შეფასება

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტურობა ფასდება სამ წელიწადში ერთხელ, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რელევანტურობა და შესაბამისობა ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს საკუთარი საქმიანობის და პროცესების შეფასებას, იყენებს შიდა აუდიტს, კოლეგიალურ შეფასებებს და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გასაუმჯობესებელი სფეროების შესაფასებლად.

- თვითშეფასება და გარე შეფასებები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახორციელებს თვითშეფასებებს და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტურობის შესაფასებლად იწვევს გარე შემფასებლებს. აღნიშნული ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ხარვეზების ან არაეფექტურობის გამოვლენას და საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით იძლევა გარე ხედვას.
- უკუკავშირის ციკლები და უწყვეტი გაუმჯობესება: დაინტერესებული მხარეების - მათ შორის აკადემიური და უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების და გარე პარტნიორების - უკუკავშირი გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დასახვეწად და გასაუმჯობესებლად. უკუკავშირის მექანიზმების, სამოქმედო გეგმების და ანგარიშგების პროცედურების რეგულარული შეფასებები უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებას უნივერსიტეტის და მისი დაინტერესებული მხარეების ცვალებად საჭიროებებზე რეაგირების მიზნით.

მუხლი 5. ანგარიშგება გარე დაინტერესებული მხარეებისთვის

შიდა ანგარიშგების გარდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გარე დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარებას, მათ შორის აკრედიტაციის/ვტორიზაციის ორგანოებთან, მარეგულირებელ ორგანოებთან და ფართო საზოგადოებასთან. აღნიშნული ჯგუფების წინაშე გამჭვირვალე ანგარიშგება მნიშვნელოვანია ინსტიტუციური სანდოობის შესანარჩუნებლად და ხარისხის მიმართ ვალდებულების დემონსტრირებისათვის.

- აკრედიტაციის / ავტორიზაციის ანგარიშგები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებას უწევს დეტალური ანგარიშგების მომზადებას და აკრედიტაციის/ავტორიზაციის ორგანოებისთვის წარდგენას, სადაც აღწერილია აკრედიტაციის / ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა და წარმოდგენილია უწყვეტი გაუმჯობესების ძალისხმევის

მტკიცებულებები. აღნიშნული ანგარიშები წარმოადგენს უნივერსიტეტის აკრედიტაციის/ავტორიზაციის განახლების პროცესის ნაწილს და მნიშვნელოვანია დაწესებულების აკრედიტაციის/ავტორიზაციის ორგანიზაციებთან სტატუსის შესანარჩუნებლად.

- მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიშები: შესაბამის დეპარტამენტებთან თანამშრომლობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამისობას გარე რეგულაციებთან და წარადგენს საჭირო ანგარიშებს მარეგულირებელ ორგანოებში. აღნიშნული მოიცავს ანგარიშებს პროგრამების შესაბამისობის, ინსტიტუციური საქმიანობის და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების განხორციელების შესახებ.
- საჯარო წვდომა ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშებზე: გამჭვირვალობის მიმართ უნივერსიტეტის ვალდებულება აისახება ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი ანგარიშების საჯარო ხელმისაწვდომობაში. ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის მიმოხილვა, მათ შორის აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტატუსები, პროგრამების გაუმჯობესება და გარე შეფასებებიდან მიღებული უკუკავშირი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და საჯარო შეხვედრებზე.

თავი VII: ტრენინგი და პროფესიული განვითარება

ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს უწყვეტი გაუმჯობესების კულტურის ხელშეწყობა და ყველა დაინტერესებული მხარის აღჭურვა საჭირო უნარებით და ცოდნით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მხარდასაჭერად. ტრენინგის და პროფესიული განვითარების განყოფილება აღწერს სტრატეგიებს, პროგრამებს და შესაძლებლობებს, რომლებიც ხელმისაწვდომია აკადემიური, საუნივერსიტეტო პერსონალისთვის და ხელმძღვანელობისთვის იმისათვის, რომ გააუმჯობესონ თავიანთი ცოდნა ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკის, საგანმანათლებლო სტანდარტების და უმაღლესი განათლების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ.

მიზნობრივი ტრენინგების ინიციატივების მეშვეობით, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს გააძლიეროს თავისი პერსონალის შესაძლებლობა ეფექტურად ჩაერთონ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, უზრუნველყონ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და ხელი შეუწყონ საგანმანათლებლო პროგრამების და ინსტიტუციური საქმიანობის უწყვეტ გაუმჯობესებას.

მუხლი 1. აკადემიური პერსონალის ტრენინგი

აკადემიური პერსონალი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების განხორციელების ცენტრალურ რგოლს. აკადემიური პერსონალის ტრენინგი ორიენტირებულია სწავლების პრაქტიკის, შეფასების მეთოდოლოგიების, სასწავლო გეგმის შემუშავების და სწავლის შედეგების შეფასების გაუმჯობესებაზე, განათლების საუკეთესო პრაქტიკასთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

- ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და პრაქტიკები: ტრენინგები მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის საფუძვლებს, მათ შორის PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) ციკლს. აკადემიური პერსონალი გაეცნობა, თუ როგორ არის ხარისხის

უზრუნველყოფა დაკავშირებული სწავლებასთან, სწავლასთან და პროგრამის განვითარებასთან.

- სასწავლო გეგმის შემუშავება და გადახედვა: აკადემიური პერსონალი მიიღებს პროფესიულ განვითარებას სასწავლო გეგმის შემუშავებაში, საგანმანათლებლო პროგრამების რელევანტურობის, სიმკაცრის და როგორც ინსტიტუციურ მიზნებთან, ასევე ეროვნულ / საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული მოიცავს ტრენინგს იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდეს სასწავლო გეგმის გადახედვა და განხორციელდეს გაუმჯობესებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.
- შეფასება: შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ვორქშოპები და ტრენინგები აკადემიურ პერსონალს ეხმარება განივიტარონ სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების, ეფექტური შეფასებების შექმნის და სწავლება / სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მონაცემების ინტერპრეტაციის უნარები.
- დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა: აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგს იმის შესახებ, თუ როგორ ჩართოს სტუდენტები და გარე დაინტერესებული მხარეები შეფასების პროცესში, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის და უკუკავშირის შეგროვების ყოვლისმომცველ მიდგომას.

მუხლი 2. ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგი

ადმინისტრაციული პერსონალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ინიციატივების მხარდაჭერაში. ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგი მიმართული იქნება საოპერაციო პროცესების, შესაბამისობის და მონაცემთა მართვის გაუმჯობესებაზე იმისათვის, რომ ისინი აღჭურვილნი იყვნენ უნივერსიტეტის საერთო ხარისხის უზრუნველყოფის ძალისხმევაში ეფექტური წვლილის შესატანად.

- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ადმინისტრაციაში: ტრენინგი ადმინისტრაციულ პერსონალს აცნობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს, მათ შორის პოლიტიკის, პროცედურების და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვის მნიშვნელობას. აღნიშნული მოიცავს ადმინისტრაციული პროცესების გაგებას, რომლებიც მხარს უჭერს აკრედიტაციას / ავტორიზაციას, შესაბამისობას და პროგრამების გადახედვის მიზნით მონაცემების შეგროვებას.
- მონაცემთა შეგროვება და ანალიზი: ადმინისტრაციული პერსონალი იღებს ტრენინგს მონაცემთა მართვასთან, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასთან, ანალიზთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოიცავს სტუდენტთა გამოკითხვების მართვას, უკუკავშირის შეგროვებას და შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისთვის ანგარიშების მომზადებას.
- უწყვეტი გაუმჯობესების მხარდაჭერა: ადმინისტრაციული პერსონალი გადის ტრენინგს იმის შესახებ, თუ როგორ შეიტანოს წვლილი უწყვეტი გაუმჯობესების ინიციატივებში, მათ შორის უკუკავშირის ციკლების, სამოქმედო გეგმების და გაუმჯობესების ზომების განხორციელების მონიტორინგის პროცესებში.

მუხლი 3. ხელმძღვანელობის და მმართველობის ტრენინგი

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, მათ შორის დეპარტამენტების ხელმძღვანელები, დეკანები და უფროსი ადმინისტრატორები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხარისხის უზრუნველყოფის ინიციატივების წარმართვაში და მხარდაჭერაში. ხელმძღვანელობის ტრენინგი მიმართული იქნება მათი შესაძლებლობების გაძლიერებაზე უხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიების განხორციელებას, დააკვირდნენ პროგრესს და თავიანთ დეპარტამენტებში ხელი შეუწყონ ხარისხის კულტურის განვითარებას.

- ხელმძღვანელობა ხარისხის უზრუნველყოფაში: ტრენინგი ორიენტირებულია ხარისხის უზრუნველყოფაში ხელმძღვანელების როლზე, მათ შორის იმაზე, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული პრიორიტეტები, შეიქმნას ხარისხის ხელვა მათ დეპარტამენტში ან სკოლაში და უზრუნველყოფილ იქნას ინსტიტუციურ მიზნებთან შესაბამისობა.
- აკრედიტაციის / ავტორიზაციისა და გარე შეფასებების მართვა: ხელმძღვანელობა იღებს მიზნობრივ ტრენინგს აკრედიტაციის / ავტორიზაციის პროცესების მართვასთან, გარე შეფასებებისთვის მომზადებასთან და აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოიცავს თვითშეფასების ანგარიშებისთვის, ადგილზე ვიზიტებისთვის და აკრედიტაციის/ავტორიზაციის სტანდარტებთან მუდმივი შესაბამისობისთვის მომზადებას.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხელშეწყობა: ხელმძღვანელობა იღებს ტრენინგს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, გარე პარტნიორებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ტრენინგი ორიენტირებულია იმაზე, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი თანამშრომლობას, უზრუნველყონ დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა და ეფექტურად მიაწოდონ ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებთან და შედეგებთან დაკავშირებით.

მუხლი 4. სტუდენტების ტრენინგი

სტუდენტები წარმოადგენენ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის მნიშვნელოვან პარტნიორებს და მათი მომზადება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გაიაზრონ თავიანთი როლი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის მიღებაში და უკუკავშირის მიწოდებაში, როგორცაა აკადემიური საბჭო და სკოლის საბჭო.

- სტუდენტების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფაში: სტუდენტების ტრენინგი ორიენტირებულია მათ როლზე ხარისხის უზრუნველყოფაში, ასევე იმაზე, თუ როგორ უნდა წარმოადგინონ კონსტრუქციული უკუკავშირი, ჩაერთონ პროგრამების შეფასებაში და მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამების და მხარდამჭერი სერვისების შეფასებაში და გაუმჯობესებაში.
- უკუკავშირის მექანიზმების გაუმჯობესება: ვორქშოპები სტუდენტებს ეხმარება გაიგონ, თუ როგორ უწყობს ხელს მათი უკუკავშირი პროგრამის და უნივერსიტეტის გაუმჯობესებას და

როგორ შეუძლიათ ჩაერთონ სტუდენტების გამოკითხვებში, ფოკუს ჯგუფებში და სასწავლო კურსების გაუმჯობესების შესახებ გამართულ დისკუსიებში.

მუხლი 5. პროფესიული განვითარების შესაძლებლობები

ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტი აღიარებს ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობას. როგორც უნივერსიტეტის უწყვეტი გაუმჯობესების ვალდებულების ნაწილი, დაწესებულება სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან შესაძლებლობებს, რათა უზრუნველყოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის და ხელმძღვანელობის ინფორმირებულობა უმაღლესი განათლების უახლესი ტენდენციების, საუკეთესო პრაქტიკის და რეგულაციების ცვლილებების შესახებ.

- ვორქშოპები და სემინარები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორგანიზებას უწევს რეგულარულ ვორქშოპებს და სემინარებს ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით, მათ შორის შეფასების მეთოდებზე, სასწავლო გეგმის განვითარებაზე და აკრედიტაციის / ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე. აღნიშნულ სესიებს უძღვებიან დარგის ექსპერტები და შესაძლოა ასევე მოიწვიონ გარე მომხსენებლები აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოებიდან ან პარტნიორი დაწესებულებებიდან.
- კონფერენციები და ნეთვორქინგი: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წახალისებას მონაწილეობა მიიღონ უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში. აღნიშნული კონფერენციები იძლევა ქსელური თანამშრომლობის, გლობალური საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის და დარგში განხორციელებული ახალი მიდწევების გაცნობის შესაძლებლობებს.
- ონლაინ კურსები და სერტიფიცირება: უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ონლაინ კურსებზე და სასერტიფიკატო პროგრამებზე წვდომას, რომლებიც ორიენტირებულია ხარისხის უზრუნველყოფაზე, აკრედიტაციაზე / ავტორიზაციაზე და უმაღლესი განათლების მენეჯმენტზე. აღნიშნული რესურსები დაეხმარება პერსონალს გააღრმავოს თავიანთი გამოცდილება ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკაში და მუდმივად ფლობდნენ ინფორმაციას ცვალებად სტანდარტებთან დაკავშირებით.
- კოლეგიალური სწავლა და თანამშრომლობა: შიდა შეხვედრების, სასწავლო ჯგუფების და დეპარტამენტთაშორისი თანამშრომლობის მეშვეობით წახალისებული იქნება კოლეგიალური სწავლის და თანამშრომლობის შესაძლებლობები. სხვადასხვა ერთეულის გამოცდილების და შეხედულებების გაზიარება ხელს შეუწყობს უწყვეტი სწავლის და გაუმჯობესების კულტურის ჩამოყალიბებას.

მუხლი 6. ტრენინგ პროგრამების შეფასება

ტრენინგების და პროფესიული განვითარების პროგრამების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად შეაფასებს აღნიშნული ინიციატივების გავლენას. მონაწილეთა უკუკავშირი, შესრულების მეტრიკებთან ერთად, გამოყენებული იქნება ტრენინგ პროგრამების წარმატების შეფასების და საჭიროებისამებრ გაუმჯობესების მიზნით.

- უკუკავშირის კითხვარები: ტრენინგის სესიების შემდეგ მონაწილეებს სთხოვენ შეავსონ უკუკავშირის კითხვარები, რაც იძლევა ინფორმაციას ტრენინგ პროგრამების რელევანტურობის და ხარისხის შესახებ. აღნიშნული უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაეხმარება ტრენინგების სამომავლო ინიციატივების დახვეწაში.
- გავლენის შეფასება: ტრენინგ პროგრამების ეფექტურობა შეფასდება აკადემიური პერსონალის საქმიანობის, ადმინისტრაციული პროცესების და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან საერთო შესაბამისობის გაუმჯობესების მეშვეობით. ისეთი მეტრიკები, როგორიც არის აკრედიტაციის გაუმჯობესებული შედეგები, სტუდენტების კმაყოფილების უფრო მაღალი მაჩვენებლები და გაუმჯობესებული პროგრამული შეფასებები, მიუთითებს პროფესიული განვითარების ძალისხმევის წარმატებაზე.

თავი VIII: გარე შეფასებები

გარე შეფასებები ფუნდამენტურ როლს ასრულებენ ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების და ინსტიტუციური საქმიანობის სანდოობის, ხარისხის და უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველყოფაში. აღნიშნული ნაწილი აღწერს პროცედურებს, პასუხისმგებლობებს და პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია აკრედიტაციის, ავტორიზაციის და დამოუკიდებელი შეფასების მიზნით გარე ორგანოებთან თანამშრომლობასთან. გარე შეფასებები წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს უნივერსიტეტის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესაფასებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისი აკადემიური პროგრამები აკმაყოფილებდეს დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, მარეგულირებელი ორგანოების და ფართო საზოგადოების მოლოდინებს.

მუხლი 1. გარე შეფასებები

უნივერსიტეტის პროგრამების, პროცესების და პოლიტიკის შესაფასებლად პერიოდულად ტარდება გარე შეფასებები. აღნიშნული შეფასებები უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის შესახებ ობიექტურ, მესამე მხარის პერსპექტივას და ხელს უწყობს გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენას. შესაბამის დეპარტამენტებთან და ხელმძღვანელ გუნდებთან თანამშრომლობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებას უწევს აღნიშნულ შეფასებებს, რათა უზრუნველყოს ყოვლისმომცველი შეფასებები და გარე მოლოდინებთან შესაბამისობა.

- გარე შეფასებების ფარგლები: გარე შეფასებები შეიძლება მოიცავდეს ინსტიტუციურ შეფასებებს, პროგრამულ შეფასებებს ან დეპარტამენტების შეფასებებს. აღნიშნულ შეფასებებს, როგორც წესი, ატარებენ გარე ექსპერტები ან აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოები, რომლებიც აფასებენ უნივერსიტეტის სტანდარტებთან შესაბამისობას, საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხს და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურობას.
- შეფასების პროცესი: პროცესი იწყება თვითშეფასებით და თვითშეფასების დოკუმენტის მომზადებით, რომელიც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და საფრთხეებს (SWOT). თვითშეფასება წარედგინება გარე შემფასებელთა ჯგუფს, რომელიც შემდეგ ატარებს საფუძვლიან შეფასებას, მათ შორის გასაუბრებებს აკადემიურ პერსონალთან, თანამშრომლებთან, სტუდენტებთან და ხელმძღვანელობასთან, ასევე ახორციელებს ადგილზე ვიზიტებს. შეფასების შემდეგ მზადდება დეტალური დასკვნა, რომელიც მოიცავს რეკომენდაციებს გაუმჯობესებისთვის.

- შემდგომი ქმედებები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამის დეპარტამენტებთან თანამშრომლობით, პასუხისმგებელია გარე შეფასებების შედეგების და რეკომენდაციების შემდგომ განხორციელებაზე. გამოვლენილი ხარვეზების ადმოსაფხვრელად მუშავდება სამოქმედო გეგმები, ხოლო აღნიშნული გეგმების პროგრესის მონიტორინგი და ანგარიშგება ხორციელდება შემდგომ შეფასებებში ან წლიურ ანგარიშებში.

მუხლი 2. აკრედიტაცია და ავტორიზაცია

აკრედიტაცია და ავტორიზაცია წარმოადგენს ფორმალურ აღიარებას, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს ხარისხის განსაზღვრულ სტანდარტებს. ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტისთვის გარე აკრედიტაცია მნიშვნელოვანია ინსტიტუციური სანდოობის შენარჩუნების, ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის და სტუდენტებისთვის მიწოდებული განათლების ხარისხის დადასტურებისთვის.

- აკრედიტაციის / ავტორიზაციის სახეები: უნივერსიტეტი ცდილობს მოიპოვოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოების აკრედიტაცია / ავტორიზაცია. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას, ხოლო საერთაშორისო აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოები უზრუნველყოფენ გლობალურ აღიარებას და დემონსტრირებენ უნივერსიტეტის ვალდებულებას საერთაშორისო სტანდარტების მიმართ.
- აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცესი: აკრედიტაციის პროცესი ჩვეულებრივ მოიცავს რამდენიმე ძირითად ეტაპს:
 1. მომზადება: უნივერსიტეტი ამზადებს ყოვლისმომცველ თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც ასახავს, თუ როგორ აკმაყოფილებს იგი აკრედიტაციის / ავტორიზაციის კრიტერიუმებს. აღნიშნული მოიცავს პროგრამის ხარისხის, მმართველობით სტრუქტურებს, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას, სტუდენტების სწავლის შედეგებს და მარეგულირებელ სტანდარტებთან შესაბამისობის მტკიცებულებებს.
 2. ვიზიტი: გარე აკრედიტაციის / ავტორიზაციის ჯგუფები ახორციელებენ ვიზიტს უნივერსიტეტში, რათა შეაფასონ დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, ჩაატარონ გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან და გადაამოწმონ თვითშეფასების ანგარიშის სიზუსტე. ჯგუფი აფასებს უნივერსიტეტის პოლიტიკის, პრაქტიკის და შედეგების შესაბამისობას აკრედიტაციის/ავტორიზაციის სტანდარტებთან.
 3. გადაწყვეტილება და რეკომენდაციები: ვიზიტის შემდეგ აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანო აყალიბებს დასკვნას თავისი მიგნებებით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს გაუმჯობესების რეკომენდაციებს ან აკრედიტაციის / ავტორიზაციის უწყვეტობის პირობებს. დასკვნის საფუძველზე აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის მინიჭების, განახლების ან უარის თქმის შესახებ.
 4. სამოქმედო გეგმა: თუ უნივერსიტეტს მიენიჭა აკრედიტაცია / ავტორიზაცია ან განახლება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის დეპარტამენტებთან აკრედიტაციის / ავტორიზაციის დასკვნაში გამოვლენილი პრობლემური საკითხების გადასაჭრელად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას, პრაქტიკის გაუმჯობესებას ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენას შესაბამისობის დადასტურების მიზნით.

- უწყვეტი აკრედიტაცია / ავტორიზაცია არ წარმოადგენს ერთჯერად პროცესს. ის მოითხოვს სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას და დაწესებულებებმა უნდა წარუდგინონ პერიოდული ანგარიშები აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოებს, რაც დაადასტურებს, რომ დაწესებულება კვლავ აკმაყოფილებს ხარისხის სტანდარტებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინირებას უწევს აღნიშნული ანგარიშების წარდგენას და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კარგი მდგომარეობის შენარჩუნებას აკრედიტაციის/ავტორიზაციის ორგანოებთან.

მუხლი 3. გარე შეფასებების კოორდინაცია

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია გარე შეფასებების და აკრედიტაციასთან / ავტორიზაციასთან დაკავშირებული ყველა აქტივობის კოორდინაციაზე. აღნიშნული მოიცავს ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას, ვიზიტების ორგანიზებას, შიდა დაინტერესებულ მხარეებს და გარე შემფასებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობას და შემდგომი ქმედებების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფას.

- გარე შეფასებებისთვის შიდა მომზადება: ნებისმიერი გარე შეფასების ან აკრედიტაციის / ავტორიზაციის პროცესის დაწყებამდე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს აკადემიურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებთან მონაცემების შეგროვების, დოკუმენტაციის მომზადების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირებულობის და შეფასების პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მომზადება მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ გარე შემფასებლებს ჰქონდეთ ზუსტი და ყოვლისმომცველი ინფორმაცია უნივერსიტეტის პროგრამების და საქმიანობის შესახებ.
- ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხელმძღვანელ გუნდთან, მათ შორის დეკანებთან, დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან და პრეზიდენტთან, რათა უზრუნველყოს გარე შეფასებების და აკრედიტაციის / ავტორიზაციის პროცესების დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობა. ხელმძღვანელობა ასევე ჩართულია გარე შეფასებების შედეგების და რეკომენდაციების განხილვაში, რაც უზრუნველყოფს უწყვეტი განვითარებისადმი უნივერსიტეტის მუდმივ ვალდებულებას.
- შედეგების გაცნობა: გარე შეფასებების და აკრედიტაციის / ავტორიზაციის პროცესების მიგნებები და შედეგები ეცნობება უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებულ მხარეს. აღნიშნული მოიცავს გარე შემფასებლების რეკომენდაციების, აკრედიტაციის/ავტორიზაციის გადაწყვეტილებების და გამოვლენილი გასაუმჯობესებელი სფეროების გადაწყვეტის სამოქმედო გეგმების გაზიარებას.

მუხლი 4. დაინტერესებული მხარეების როლი გარე შეფასებებში

გარე შეფასებების და აკრედიტაციის/ავტორიზაციის წარმატება დამოკიდებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების და გარე პარტნიორების აქტიურ მონაწილეობაზე.

- აკადემიური პერსონალის და თანამშრომლების ჩართულობა: აკადემიური პერსონალი და თანამშრომლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გარე შეფასებების და აკრედიტაციის /

ავტორიზაციის პროცესებისთვის მომზადებაში მონაცემების მიწოდებით, გასაუბრებებში მონაწილეობით და თვითშეფასების პროცესში წვლილის შეტანით. მათი ჩართულობა უზრუნველყოფს, რომ შეფასება ზუსტად ასახავდეს სწავლება - სწავლის და ადმინისტრაციული საქმიანობის ხარისხს.

- სტუდენტთა ჩართულობა: სტუდენტები გარე შეფასებებში მონაწილეობენ გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფების და გარე შემფასებლებთან შეხვედრების დროს უკუკავშირის წარმოდგენით. მათი ხედვები მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების ხარისხის შესაფასებლად.
- გარე პარტნიორები და დაინტერესებული მხარეები: გარე დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის პროფესიულ ორგანიზაციებს, დამსაქმებლებს და აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოებს, მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ უნივერსიტეტის პროგრამების შესახებ უკუკავშირის მიწოდებაში, რაც უზრუნველყოფს დარგობრივ სტანდარტებთან მათ შესაბამისობას და სტუდენტების წარმატებული კარიერისთვის მომზადებას.

მუხლი 5. უწყვეტი გაუმჯობესება გარე შეფასებების მეშვეობით

გარე შეფასებები და აკრედიტაცია / ავტორიზაცია წარმოადგენს ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის უწყვეტი გაუმჯობესების ვალდებულების განუყოფელ კომპონენტებს. აღნიშნული პროცესების შედეგად მიღებული მოსაზრებები უნივერსიტეტს ეხმარება გამოავლინოს განვითარების სფეროები, განახორციელოს მაკორექტირებელი ქმედებები და პროგრესის მონიტორინგი დროთა განმავლობაში.

- ხარისხის გაუმჯობესება: გარე შემფასებლების და აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოების მიერ გაცემული რეკომენდაციები წარმოადგენს ხარისხის გაუმჯობესების გზამკვლევს. უნივერსიტეტი იყენებს აღნიშნულ მოსაზრებებს აკადემიური პროგრამების დახვეწის, სწავლება - სწავლის პრაქტიკის გაუმჯობესების, ადმინისტრაციული ფუნქციების გაძლიერების და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების მიზნით.
- გლობალურ სტანდარტებთან შესაბამისობა: საერთაშორისო ორგანოების მიერ ჩატარებული აკრედიტაცია / ავტორიზაცია უზრუნველყოფს, რომ ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტი აკმაყოფილებს სრულყოფილების გლობალურ სტანდარტებს, რაც შრომის ბაზარზე აძლიერებს დაწესებულების რეპუტაციას და მისი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას.
- უკუკავშირი სტრატეგიული დაგეგმვისთვის: გარე შეფასებების და აკრედიტაციის / ავტორიზაციის შედეგები წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის საფუძველს. ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკის გარე მოლოდინებთან შესაბამისობით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ მისი აკადემიური შეთავაზებები რელევანტური და საფუძვლიანია და პასუხობს სტუდენტების და საზოგადოების საჭიროებებს.

თავი IX: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის გადახედვა და განახლება

ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მუდმივი გაუმჯობესება მოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის რეგულარულ შეფასებას და განახლებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი რელევანტურობა, ეფექტურობა და განვითარებად

ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან, მარეგულირებელ მოთხოვნებთან და უმაღლესი განათლების საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობა. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა არის ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის ყველა აქტივობის საფუძველს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პოლიტიკის პერიოდული გადახედვა და განახლება, უნივერსიტეტის მიზნებში, უმაღლესი განათლების სივრცეში და გარე აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტანდარტებში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით.

მუხლი 1. გადახედვის სიხშირე

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა გადის ყოვლისმომცველ გადახედვას სულ მცირე სამ წელიწადში ერთხელ. თუმცა, საჭიროებისამებრ შეიძლება განხორციელდეს უფრო ხშირი განახლებები, შემდეგი ცვლილებების საპასუხოდ:

- ეროვნული ან საერთაშორისო აკრედიტაციის / ავტორიზაციის სტანდარტებში (მაგალითად, ცვლილებები ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებში და სახელმძღვანელო პრინციპებში, ან მსოფლიო სამედიცინო განათლების ფედერაციის სტანდარტებში).
- უნივერსიტეტის შიდა განვითარებები, როგორიც არის ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, ინსტიტუციური მმართველობის ცვლილებები ან სტრატეგიული ცვლილებები.
- დაინტერესებული მხარეების, მათ შორის აკადემიური პერსონალის, თანამშრომლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და გარე პარტნიორების უკუკავშირი.
- ცვლილებები ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო საგანმანათლებლო პოლიტიკაში თუ რეგულაციებში.

მუხლი 2. პოლიტიკის გადახედვაზე პასუხისმგებლობა

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის გადახედვის და განახლების ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით. გადახედვის პროცესი მოიცავს უნივერსიტეტის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას, მათ შორის:

- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები).
- აკადემიურ დეპარტამენტებთან და აკადემიურ პერსონალთან.
- ადმინისტრაციულ სამსახურებთან, მათ შორის ადამიანური რესურსების, საფინანსო და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურებთან.
- სტუდენტებთან, სტუდენტთა წარმომადგენლების და უკუკავშირის მექანიზმების მეშვეობით.
- გარე ექსპერტებთან, საჭიროების შემთხვევაში, პოლიტიკის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ობიექტური შეფასების მიზნით.

მუხლი 3. გადახედვის პროცესი

გადახედვის პროცესი მიჰყვება სტრუქტურირებულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს ყველა შესაბამისი ფაქტორის და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის უკუკავშირის გათვალისწინებას:

1. შიდა შეფასება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩაატარებს არსებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შიდა შეფასებას, შეაფასებს მის ეფექტურობას, სიცხადეს და უნივერსიტეტის მიმდინარე პრაქტიკასთან და მიზნებთან შესაბამისობას.
2. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია: გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფების და შეხვედრების მეშვეობით უნივერსიტეტის ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან, მათ შორის აკადემიური პერსონალისგან, თანამშრომლებისგან და სტუდენტებისგან, შეგროვდება მოსაზრებები . აღნიშნული უკუკავშირი დაეხმარება პოლიტიკის იმ სფეროების გამოვლენას, რომლებიც შესაძლოა საჭიროებდეს გადახედვას ან გაძლიერებას.
3. გარე შედარება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე განიხილავს სხვა უნივერსიტეტების, ეროვნული საგანმანათლებლო ორგანოების და საერთაშორისო აკრედიტაციის/ვტორიზაციის ორგანოების პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკის შესაბამისობა გლობალურ საუკეთესო პრაქტიკასთან და მარეგულირებელ მოთხოვნებთან.
4. განახლებების პროექტის მომზადება: შიდა შეფასების, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის და გარე შედარების შედეგებზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოამზადებს პოლიტიკის აუცილებელი განახლებების პროექტს.
5. განხილვა და დამტკიცება: განახლებული პოლიტიკა განიხილება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, მათ შორის პრეზიდენტის და ვიცე - პრეზიდენტების მიერ და საჭიროების შემთხვევაში ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. დამტკიცების პროცესი უზრუნველყოფს, რომ პოლიტიკა ინარჩუნებს შესაბამისობას უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან და შესაბამისობის მოთხოვნებთან.

მუხლი 4. განახლებების გაცნობა

მას შემდეგ, რაც მოხდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის გადახედვა და განახლება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ცვლილებების შესახებ ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირებას:

- საუნივერსიტეტო საზოგადოება: განახლებული პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება აკადემიურ პერსონალს, თანამშრომლებს და სტუდენტებს შიდა კომუნიკაციების საშუალებით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის, უნივერსიტეტის ინტრანეტის და სკოლის სხდომების მეშვეობით.
- გარე დაინტერესებული მხარეები: შესაბამისი გარე დაინტერესებული მხარეები, როგორც არის აკრედიტაციის / ავტორიზაციის ორგანოები, მარეგულირებელი ორგანოები და პარტნიორი დაწესებულებები, საჭიროებისამებრ მიიღებენ ინფორმაციას განახლებების შესახებ.
- დოკუმენტები: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განახლებული ვერსია ხელმისაწვდომი იქნება უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და ინსტიტუციური დოკუმენტების საცავში, რაც უზრუნველყოფს მარტივ წვდომას ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის უწყვეტი გაუმჯობესება

გადახედვის და განახლების პროცესი წარმოადგენს უწყვეტი გაუმჯობესების მიმართ უნივერსიტეტის ვალდებულების ნაწილს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩაატარებს პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგს და დაინტერესებული მხარეებისგან მოიძიებს მუდმივ უკუკავშირს, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტის და ზოგადად უმაღლესი განათლების გარემოს ცვალებად საჭიროებებთან მისი ეფექტურობა და ადაპტირება.

- უკუკავშირის ციკლები: უნივერსიტეტი შეინარჩუნებს უკუკავშირის ციკლებს განახლებული პოლიტიკის ეფექტურობასთან დაკავშირებით მონაცემების შესაგროვებლად, მათ შორის ყოველწლიური გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფების და გარე შემფასებლების უკუკავშირის მეშვეობით.
- მონიტორინგი და კორექტირება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის მასშტაბით განახორციელებს განახლებული პოლიტიკის გავლენის და ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკის მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში შეიტანს დამატებით კორექტირებას პოლიტიკის ეფექტურობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

თავი X: შეჯამება

ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა წარმოადგენს ჩვენი ვალდებულების ცენტრალურ ნაწილს, მივაწოდოთ მაღალი ხარისხის განათლება, ხელი შევუწყოთ უწყვეტ გაუმჯობესებას და უზრუნველყოთ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. აღნიშნული პოლიტიკის სტრატეგიული განხორციელების გზით, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს გააძლიეროს თავისი პროგრამების, სერვისების და საქმიანობის აკადემიური და ინსტიტუციური ეფექტურობა. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა წარმოადგენს სახელმძღვანელო ჩარჩოს, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ყველა ასპექტის განვითარებას, შეფასებას და გაუმჯობესებას, რითიც ხელს უწყობს სრულყოფილების, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების კულტურის დამკვიდრებას.

აღნიშნული პოლიტიკის წარმატების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ისეთ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის თანამშრომლობა, როგორიც არის აკადემიურ პერსონალი, პერსონალი, სტუდენტები და გარე პარტნიორები. მათი ერთობლივი ძალისხმევა მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მთლიანობის შენარჩუნებისთვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ უნივერსიტეტი აკმაყოფილებს სტუდენტების საჭიროებებს და ამავდროულად ერგება უმაღლესი განათლების ცვალებად მოთხოვნებს. გარე შეფასებების, აკრედიტაციის/ვტორიზაციის და უწყვეტი გაუმჯობესების ინიციატივების გათვალისწინება კიდევ უფრო აძლიერებს უნივერსიტეტის ვალდებულებას, უზრუნველყოს გამორჩეული აკადემიური გამოცდილება და მოამზადოს კურსდამთავრებულები გლობალიზებულ სამყაროში წარმატებისთვის.

ვინაიდან ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტი მუდმივად იზრდება და ვითარდება, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა რჩება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების წარმართვის და შეფასების დინამიურ ინსტრუმენტად. პოლიტიკის რეგულარული გადახედვა და განახლება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ ტენდენციებთან, მარეგულირებელ მოთხოვნებთან და ხარისხის უზრუნველყოფის საუკეთესო პრაქტიკასთან მის შესაბამისობას. მუდმივი მონიტორინგის, ანგარიშგების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გზით, ჩვენ ხელს შევუწყობთ ანგარიშვალდებულების და უწყვეტი გაუმჯობესების გარემოს შექმნას.

აღნიშნული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის წარმატებული განხორციელება არა მხოლოდ უზრუნველყოფს ადმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის/ვტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებას, არამედ ხელს შეუწყობს ხარისხზე დაფუძნებული კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს სტუდენტების წარმატებას, აკადემიური პერსონალის განვითარებას და ინსტიტუციურ ზრდას. აღნიშნული პრინციპების დაცვით, უნივერსიტეტი

გააგრძელებს თავისი მისიის შესრულებას მაღალი ხარისხის განათლების მიწოდების და საზოგადოებაზე დადებითი გავლენის მოხდენის მიმართულებით.

აღნიშნული პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ვალდებულებას ხარისხის, უწყვეტი გაუმჯობესების და თანამშრომლობის მიმართ, წარმოადგენს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ასპექტში საუკეთესო ხარისხის შენარჩუნების მკაფიო და სტრატეგიულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის წამყვან პოზიციას უმაღლესი განათლების სფეროში.

თავი XI: დასკვნითი დებულებები

მუხლი 1. დოკუმენტის დამტკიცების და მასში ცვლილებების განხორციელების წესი

1. წინამდებარე დოკუმენტი მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით;
2. წინამდებარე დოკუმენტის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით;

"დამტკიცებულია"

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი

გიორგი ხუროძე